„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება N19/11-1

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 11 “ მარტი 2019 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებების, ასევესრული დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნება;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა“–ს, წარმოდგენილი მისი დირექტორის *ოთარ შენგელიას* სახით

ერთის მხრივ _____ (შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტი) _____ (შემდგომში - „შემსყიდველი“)

და **შპს “ბი ემ სი გორგიას „ დირექტორის მინდობილი პირი ლაშა გვაჯაიას** სახით

მეორეს მხრივ **(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)**

(შემდგომში - „მიმწოდებელი“) შორის

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სხვდასახვა სამურნეო საქონლის ეტაპობრივ შესყიდვას საჭიროების მიხედვით

–CVP 31500000 გასანთებელი მოწყობილობები და ელექტრო ნათურები
–CVP 39700000 საოჯახო ტექნიკა (სანტექნიკის ნაწილები)
- CVP 44500000 ხელსაწყოები, გასაღებები, საკეთები და სხვა

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ***<u>შესასყიდი საქონლის</u>*** საერთო ღირებულება შეადგენს 700 **(შვიდასი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.2. ***შესასყიდი საქონლის*** კოდების მიხედვით გადანაწილება შეადგენს:

–CVP 31500000 კოდზე 300 ლარი,

–CVP 39700000 კოდზე 200 ლარი;

- CVP 44500000 კოდზე 200 ლარი;

4.3 ***შესასყიდი საქონლის*** შემდეგ მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუხი**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნული საქონელი. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და ვარგისიანობაზე;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს წინარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით აღნიშნული საქონელი 2019 წლის 31 დეკებრამდე.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება;

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

5.6. მიმწდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

6. საქონლის ფასი და ღირებულების განსაზრვრის წესი

6.1 საქონლის ღირებულება განისაღვრება მოთხოვნის მომენტში შპს „ბი-ემ-სი გორგიას“ ქსელში არსებული საბაზრო გაყიდვის მიხედვით.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს აფხაზეთიდან იძულებით გადდადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკის შესყიდვების მენეჯერი ლევან ზარქუა

8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებას;

9.ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში);

9.2. ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების მიღებიდან და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების აქტის“ გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში;

9.3. ანგარისშწორების ფორმაა უნაღდო. გადარიცხვა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შეცვლის, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლოსაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი ურთიერთობა და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 1 მარტამდე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ავთენტური ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო პირი რჩება მხარეებს.

„შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი “
შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირა ზუგდიდის პოლიკლინიკის დირექტორი ოთარ შენგელია	შპს „პი ემ სი გორგია“–ს დირექტორის მინდობილი პირი ლაშა გვაჯაია
ქ. ზუგდიდი გამსახურდიას პირველი შესახ N2 ს/კ 220 395 347 სს“ საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: **BAGAGE22** ა/ა GE57BG0000000262348700 ტელეფ/ფაქსი: 599 50 73 03	ქ. ბათუმი სოხუმის ქ.N10 ს/კ: 245621288 სს“ თიბისიბანკი“ ბანკის კოდი CAVOGEE22 ა/ა GE62TB1007536020100008

L T D "Zugdidi Polyclinic for Internally Refugee Persons from Abkhazia"

Подписано цифровой подписью: L T D "Zugdidi Polyclinic for Internally Refugee Persons from Abkhazia"
Дата: 2019.03.11 14:44:28 +04'00'